საგამოფენო სტენდის ქირავნობის ხელშეკრულება 2/87

ქ. ბათუმი 02 მაისი 2012 წ.

ერთის მხრივ, შ.პ.ს. "GEONET EXPO" (შემდგომში „გამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ოსმან ჩალიშქანის სახით და მეორეს მხრივ ს.ს.ი.პ. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (შემდგომში – „დამქირავებელი") დებენ საგამოფენო სტენდის ქირავნობის ხელშეკრულებას შემდეგი შინაარსით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამქირავებელი მიაქირავებს დამქირავებელს 2012 წლის 4-6 მაისს ბათუმის ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-5 საერთაშორისო გამოფენაზე (შემდგომში – გამოფენა) საგამოფენო სტენდს 6 $მ^2$-ს.

1.2 1 $მ^2$ საგამოფენო სტენდის ქირა შეადგენს 151.50 ლარს, სულ ხელშეკრულების ფასი შეადგენს 909.00 ლარს.

1.3 დამქირავებელი ვალდებულია გადაუხადოს გამქირავებელს ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული თანხა 2012 წლის 15 ივნისამდე.

2. მხარეთა უფლება –მოვალეობანი

2.1. გამქირავებლის უფლებამოსილებანი:

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულების 1.1 პუნქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) მოსთხოვოს დამქირავებელს დროულად და სრულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2-1.3 პუნქტების შესაბამისად აღებული ვალდებულება. ვალდებულებების შესრულების შეფერხებისათვის ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის დააკისროს დამქირავებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით;

გ) მოსთხოვოს დამქირავებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება;

დ) გამოფენის პერიოდში ხელი შეუწყოს, როგორც უცხოელი ასევე ადგილობრივი გამოფენის მონაწილეებისა და სტუმრების მოზიდვას;

ე) უზრუნველყოს დამქირავებელი საგამოფენო სტენდის მაგიდით, სკამებით, ხალიჩით, ელექტროენერგიით, ინტერნეტით, სტენდზე კომპანიის სახელის წარწერით, ბეჯით, კატალოგში გვერდის განთავსებით, მონაწილის სერტიფიკატით;

ვ) გამოფენის მონაწილეებისათვის გამართოს საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიები;

ზ) გაუწიოს დახმარება დამქირავებელს საბაჟო ფორმალობების მოგვარებაში, საბაჟო ბროკერთან ურთიერთობაში;

თ) სრულად აუნაზღაუროს დამქირავებელს ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით წარმოშობილი ზიანი.

2.2 დამქირავებლის უფლებამოსილებანი;

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2-1.3. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) ვალდებულებების შესრულების შეფერხებისათვის ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადაუხადოს გამქირავებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით;

გ) საგამოფენო ნივთების ტრანსპორტირებისა და დროებითი შემოტანის საბაჟო გადასახდელების გადახდა ეკისრება დამქირავებელს.

2.3 მხარეთა უფლება-მოვალეობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, მოწესრიგდება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი ნორმებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

3.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

3.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

4. ფორს-მაჟორი

4.1 ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

4.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით ან ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

4.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1 5 (ხუთი) დღეზე მეტი ვადით ვალდებულების შესრულების გადაცილება ითვლება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად.

5.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქცია თითოეული მხარისათვის შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

5.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 15 ივნისამდე.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

7.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

8. გამოყენებული სამართალი

8.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

9. გადასახადები და ბაჟები

9.1 მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების და მოსაკრებლების გადახდაზე თავიანთი ვალდებულებების ნაწილში.

მხარეთა რეკვიზიტები:

გამქირავებელი

შ.პ.ს. "GEONET EXPO"

ბათუმი. ქუთაისის ქ. №11
საიდენტიფიკაციო კოდი: 445408871

სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგარიშის №
GE06TB7661236080100003

დირექტორი

ოსმან ნალიშქან

დამქირავებელი

სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

საიდენტიფიკაციო კოდი: 204990082

ეროვნული ბანკი
ბანკის კოდი 220101202
ანგარიშის № 200122900

დირექტორის მოადგილე

გიორგი

LEPL GEORGIAN NATIONAL INVESTMENT AGENCY
204990082